MES 8 21 0000783408

10/08/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 27.07.2021**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:20სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი**
**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენეჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ანზორბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ნიკათიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგიღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **დავითკაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანამჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინენაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ნინო სარჯველაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 2 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნონა პოპიაშვილი | .ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი | I |
| 2 | ზურაბ ბერაია | | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი | I |
| 3 | ოთარ მათეშვილი | | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი | I |
| 4 | მანანა ტაბიძე | | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი | I |
| 5 | ლიკა გიორგაძე | | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი, სამსახურის უფროსის მოადგილე | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **6** | ნატო ალავიძე | .სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | **II** |
| **7** | თენგიზ ლობჟანიძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | **II** |
| **8** | დავით მახვილაძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | **III** |
| **9** | გიორგი ქვარცხავა | | სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი | **III** |
| **10** | ნინო ლომიძე | | სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | **III** |
| **11** | აკაკი გუნცაძე | | სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი | **III** |
| **12** | ნოე ხოზრევანიძე | | ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება“ ხელმძღვანელი | **III** |
| **13** | ნანა ახალაია | | პროფესორი | **III** |
| **14** | კობა კობალაძე | | პროფესორი | **III** |
| **15** | ნანული დანელია | | ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | **III** |
| **16** | ილონა საყვარელიძე | | დეკანი | **IV** |
| **17** | ნინო აბაიშვილი | | პროგრამის ხელმძღვანელი | **IV** |
| **18** | ნათია ქაჯაია | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი | **IV** |
| **19** | ნიკა დუდაშვილი | შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი | იურიდიული სამსახურის უფროსი | **IV** |
| **20** | მარინე შავლაყიძე | | კვლევებისა და განვითარების ცენტრის უფროსი | **IV** |
| **21** | დოდო მაღრაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი | **IV** |

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ნონა პოპიაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | თამარ გვინიაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | მიხეილ გიორგაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | ინგა დიაკონიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | სოფიკო შარაბიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 6 | ნანა მდინარაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | ვაჟა ტრაპაიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 8 | ვლადიმერ მარგველაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 9 | ელენე გიგინეიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4.შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის “სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1.ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4.შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

**1. პირველი საკითხი:** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ინტეგრირებული საბაკალავრი-სამაგისტრო |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და ქართულში, როგორც მეორე ენაში) |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და ქართულში, როგორც მეორე ენაში |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით - 0114 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი53 ა, 0179საქართველო |
| 15 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, 2021 წლის 24 მაისს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დისტანციური ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები. დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციების ნაწილს და უკვე დაწყებული აქვს მათზე მუშაობა.
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველისტანდარტი** _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორესტანდარტი** _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამესტანდარტი** _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხესტანდარტი** _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთესტანდარტი** _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
2. გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ის მოკლედ და კონკრეტულად.
3. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისას აქცენტი გაკეთდეს პროგრამის შინაარსთან დაკავშირებულ სპეციფიურ კომპეტენციებზე და საჭიროებებზე.
4. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იყოს ის სასწავლო კურსი / კომპონენტი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა ფარგლებშიც მიიღწევა და ფასდება ეს თუ ის კომპეტენცია. აღნიშნულის გათვალისიწინებით შეირჩეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლგია და შეფასების პერიოდულობა.
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი და ის შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკის კვლევის პრინციპებთან. დეტალურად გაიწეროს პრაქტიკის კვლევის ეტაპების შესაბამისი კალენდარი და პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის სკოლების, უფლება-მოვალეობები.
6. განხორციელდეს პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება, რაც ასახავს თავად პროცესს და პროგრამის მუშაობაში ჩართული მხარეების მონაწილეობასა და მათ კონტრიბუციას.
7. პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
8. პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
9. გადაიხედოს არსებული კომპეტენციების რუკა და ის ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფს მიეცეს შესაძლებლობა დაადგინოს, რომელი კურსის ფარგლებში მიიღწევა და ფასდება პროგრამის ესა თუ ის სწავლის შედეგი.
10. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.
11. ზუსტად დაიგეგმოს და პროცედურუალდ გაიწეროს ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი მექანიზმი.
12. პროგრამა მოიცავს ქართულის, როგორც მეორე ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და ინგლისური ენის სწავლების კომპეტენციებისათვის საჭირო საგნებს, თუმცა ინგლისური ენის სწავლებისათვის გამოყოფილი ნაწილი სრულად ვერ განაპირობებს პროგრამის მიზნების მიღწევადობას. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში გაძლირდეს ინგლისური ენის მიმართულება.
13. ცალკეული კურსის/კურსების ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს საკონტაქტო საათებისა და კრედიტების რაოდენობა;
14. მოხდეს სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა ყოველი შესასწავლი კურსის მიზნებთან, შინაარსთან და მისაღწევ შედეგებთან.
15. მოხდეს სასწავლო კურსების ისე შერჩევა, რომ თავიდან იქნას აცილებული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების დუბლირება.
16. მოხდეს კურსების შინაარსის მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

17. სწორად იქნას განსაზღვრული თითოეული კურსისათვის ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.
18. მოხდეს კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების კურსის შინაარსთან, მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
19. განახლებული იქნას სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის.
20. საავტორი უფლების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით, რიდერის გამოყენების შემთხვევაში, მოხდეს რიდერის ავტორის, ისევე როგორც მასში შემავალი სახელმძღვანელოების და ავტორების მითითება.
21. სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს, რა ფორმით ფასდება კონკრეტული სასწავო კურსის თითოული შედეგი;
22. მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგების წარმაოდგენა 3 სფეროს მიხდვით - ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა.
23. რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.
24. მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებით მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
25. რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული პერსონალი, რომელთა სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას, ფლობდეს სათანადო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას პრაქტიკის კვლევის მიმართულებით.
26. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დაბალანსდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა.
27. პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩეს დარგის და მიმართულების შესააბამისი განათლების და კვაალიფიკაციის მიხედვით, როგორც ამას ითვალისინებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციები.
28. პრაქტიკაში განხორციელდეს პერსონალის შეფასება და წახალისება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი წესის მიხედვით.
29. გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები. რაც, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
30. დაინერგოს პროგრამის განმახორცელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.
31. მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ბიუჯეტის უფრო დეტალიზებული დაგეგმვა მოცემული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი მუხლის გათვალისწინებით.
32. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვენის მიზნით).
33. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (განათლების აღიარებასთან დაკაკავშირებულ ჩანაწერში).
34. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს როგორც მის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება, ისე ყველა მიმდინარე შეფასების და ანალიზის დოკუმენტირება, რის გარეშე

შეუძლებელია შეფასების შედეგების რელევანტურობის დადგენა, პროგრამის შესაბამისობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება.

35. აუცილებელია პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის. აღსანიშნავია, რომ პროგრამა უნივერსიტეტისთვის საკამოდ პრიორიტეტულია, შესაბამისად ნებისმიერი რეკომენდაცია, თუ რჩევა ძალიან ღირებულია. აქედან გამომდინარე, დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. გარდა ამისა, ინსტიტუციას უკვე შემუშავებული აქვს გეგმა თუ როგორ უნდა მოხდებს მოცემული რეკომენდაციებისა თუ რჩევების გათვალისწინება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ქართული ენის მოდულისგან განსხვავებით, ინგლისური ენის მოდული ყველა მხრივ საჭიროებს დახვეწას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა ექსპერტებთან თუ რამდენი დრო დასჭირდება დაწესებულებას ინგლისური ენის მოდულის გადასამუშავებლად. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ კონკრეტულად რომელის საგნები ეხება ქართულს, როგორც მეორე ენას, ვინაიდან, ფილოლოგიური მიმართულება ვერ იქნება რელევანტური ამ მოდულისთვის. შესაბამისად, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის მოდული ასევე საჭიროებს კორექტირებასა და დახვეწას.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, თუ რამდენი ადამიანი იქნა გამოკითხული შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არ არის მოცემული პროგრამული ბიუჯეტი, რაც ამ ტიპის პროგრამებში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოყო ექსპერტთა მიერ განსაზღვრული პირველი რეკომენდაცია და დააზუსტა თუ რამ განაპირობა აღნიშნულის განსაზღვრა. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს მე-5 რეკომენდაციის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, მოუწოდა ექსპერტებს მე-7 რეკომენდაციის შინაარსის განმარტებისკენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პროგრამის სრულყოფისათვის გარკვეული პერიოდი არის საჭირო, მაგრამ დაგეგმვისათვის პირველ ეტაპზე დაწესებულებას სჭირდება რამდენიმე თვე იმისათვის რომ მოახდინოს ინგლისური ენის მოდულის დახვეწა. რაც შეეხება ქართულის, როგორც მეორე ენის საკითხს, უნივერსიტეტს ამ მიმართულებით გამოცდილება აქვს.

რაც შეეხება რეკომენდაციებს პრაქტიკის კვლევასა და სამაგისტრო ნაშრომში მის ასახვასთან დაკავშირებით, მოცემული დოკუმენტები არის ურთიერთდაკავშრებული დოკუმენტები. პრაქტიკის კვლევა არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი ინტეგრირებულ სამაგისტრო ნაშრომებში, რომლისთვისაც უნივერსიტეტმა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს გარკვეული დოკუმენტები, რათა შესაძლებელი იყო პრაქტიკის კვლევის უფრო ადრე დაგეგმვა და განხორციელება და აღნიშნული არ მოხდეს ბოლო სემესტრში.

მნიშვნელოვანია ასევე ინტერნაციონალიზაციის საკითხი, კერძოდ, უნივერსტეტის მიერ დეკლარირებული ხედვისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეულ მიმართულებას წარმოადგენს. ამავდროულად, წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს ინტერნაციონალიზაციის განაცხადს. უნივერსტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომია გაფორმებული რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების ან კონკრეტული გავცლითი პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილის გამომხატველი ოქმები. ხელშეკრულებების უმეტესობას გასული აქვს მოქმედების ვადა. ექსპერთა ჯგუფმა სცადა,

დაეზუსტებინა აღნიშნული საკითხი ინტერვიუების დროს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მოწოდებული დოკუმენტაცია საერთაშორისო თანამშრომობების შესახებ ზოგად საუნივერსიტეტი ხასიათს ატარებს. მასწავლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებენ პროგრამის ინტერნაცონალიზაციის საჭოროებას, თუმცა, ამ ეტაპზე, აღნიშნული საკითხი მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკებებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ვერ მოხდა დასაბუთება, როგორ აისახება აღნიშნულ უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები წარმოდგენილ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე. პროგრამის შინაარსის, მიზნების, შედეგების და, განსაკუთრებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და უნივერსიტეტის ხედვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, პროგრამა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების საკითხებს, პროგრამის / სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში სრულყოფილად არ არის ასახული მდგრადი განვითარების საკითხები, რაც დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული აუცილებელი კომპეტენციაა. არც პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებშია გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რეკომენდაცია დასაქმების სფეროებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ აპირებს დაწესებულება ინგლისური ენით ჩარიცხვის საკითხის რეგულირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტში მოცემულია მდგრადი განვითარების მიზნები და დააზუსტა თუ რამ განაპირობა აღნიშნული ჩანაწერი.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მდგრადი განვითარების საკითხების განსაზღვრა თავად დარგობრივი მახასიათებლით იქნა განპირობებული.

რაც შეეხება დასაქმების საკითხს, დასაქმების ჩამონათვალში მოცემული იყო ბიბლიოთეკა, რაც გარდა იმისა, რომ არ არის მოცემული პროგრამის ზუსტი მიზანი, ასევე არ არის გათვალისწინებული შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ინგლისური ენის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სტუდენტების გადანაწილება ხდება იმ შედეგის მიხედვით რასაც ისინი იღებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. უბრალოდ აღნიშნული ექსპერტებმა ვერ ნახეს დამტკიცებული სახით, რამაც განაპირობა რეკომენდაციის განსაზღვრა, რომელსაც დაწესებულება როგორც აღინიშნა სრულიად იზიარებს. თავდაპირველად აუცილებელია ყველა სტუდენტს ვისაც არ ჩაუბარებია ინგლისური ენის გამოცდა, ჩაუტარდეს დონის განმსაზღვრელი ტესტი, ხოლო ჩაბარებულ სტუდენტებს განესაზღვრებათ შესაბამისი დონე. დაწესებულების მიდგომა იყო იმგვარი, რომ სწავლება უნდა დაწყებულიყო A2 დონიდან, თუმცა აღნიშნული იწვევდა გარკვეულ ბუნდოვანებას. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში მაღალი დონის ინგლისური მცოდნე სტუდენტები არ აბარებენ მსგავს პროგრამებზე, შესაბამისად დაწესებულება ვერ დაუშვებდა იმას, რომ ინგლისურის კუთხით ყოფილიყო უფრო მაღალი დონე, სწორედ ამიტომ განისაზღვრა A1 დონე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის A1 დონის განსაზღვრა განპირობებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული მრავალწლიანი გამოცდილებით. კერძოდ, იმ ფაქტით, რომ ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების დონე არაერთგვაროვანია. სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა ვერ ადასტურებს A1 დონეზე უფრო მაღალ კომპეტენციას ინგლისურ ენაში, ამიტომაც ხდება მათი განთავსება პროგრამით გათვალისწინებულ

ინგლისური ენის სხვადასხვა დონის კურსზე (A2-C1). მიღების წინაპირობის ეროვნული გამოცდების არაერთგვაროვან შედეგებთან დაკავშირებამ წარმოშვა შემდეგი კითხვა: რა მექანიზმების გამოყენებით ხდება ეროვნული გამოცდების შედეგად პროგრამაზე მიღებული სტუდენტის ენის ფლობის დონის განსაზღვრა პროგრამის კურიკულემით გათვალისწინებულ ინგლისური ენის სხვადასხვა დონის კურსზე მათი შემდგომი გადანაწილების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე სცადა მიეღო ინფორმაცია, რა ალტერნატიულ მექანიზმს ითვალსიწინებდა უნივერსიტეტი ენის ფლობის დონის დასადგენად ისეთ შემთხვევაში როცა სტუდენტს არ ჩაუბარებია ეროვნული გამოცდა ინგლისურ ენაში. გაირკვა, რომ მსგავს შემთხვევაში, უნივერსიტეტი ჩაატარებს დონის განმსაზღვრელ ტესტს, თუმცა, ასეთ შესაძლებლობაზე მათ ჯერ არ უფიქრიათ და შესაბამისი პროცედურაც დოკუმენტურად არაა გაწერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ენის ფლობის დონის დადგენის მექანიზმის დეტალურად გაწერა (ყველა შესაძლო ალტერნატივის გათვალისწინებით).

ექსპერტმა ასევე განმარტა, ქართულის, როგორც მეორე ენის მოდული მოიცავს: ,,ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების ტიპოლოგიურ ანალიზს", ,,ქართული ტერმინოლოგიის საკითხებს", ,,ქართული ენის ლექსიკოგრაფიასა" და ასე შემდეგ. გრამატიკული საკითხები კი შემოდის ფილოლოგიური ნაწილიდან, რადგან ქართული გრამატიკა საერთოა როგორც ქართული როგორც მეორე ენის სწავლებისას ისე, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თვითონ პედაგოგი უნდა იყოს საუკეთესო პროფესიონალი ქართული ენის, რომ მან სწორედ მოახერხოს დახარისხება და თავისი კონტიგენტის გათვალისწინება. შესაბამისად, ის ძირითადი საგნები, რომლებიც ქართული ენის სპეციალისტს სჭირდება, თანაბარ დონეზე მოეთხოვება მასწავლებელს.

ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ ინსტიტუციას აქვს გარკვეული ფინანსური გაანგარიშება თუმცა აღნიშნული არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის სახით. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, მის ფარგლებში გამოკითხული იქნა 5 დამსაქმებელი, თუმცა დაწესებულებას შეხება აქვს 40-მდე სკოლასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პრაქტიკულ კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კვლევა არ არის აუცილებელი იყოს პრაქტიკული. ტრადიციული კვლევები ძირითადად ხორციელდება სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში. პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში, გათვალისწინებულია ტრადიციული კვლევის ჩატარება, რისთვისაც არსებობს შესაბამისი დებულება. რაც შეეხება პრაქტიკული კვლევის მიმართულებით სწავლების კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობას, დაწესებულება სრულიად იზიარებს ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, თუმცა მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს შესაძლებლობა აირჩიოს თუ რომელი კვლევა ჩაატაროს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:00**

**დასრულების დრო: 15:54**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 2 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ 2.6 კომპონენტი ნაცვლად ,,შესაბისობაშია მოთხოვნებთან განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 3.1, 4.2 კომპონენტი

და მე-3 სტანდარტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,, განისაზღრა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'', კომპონენტი 5.3 და მე-5 სტანდარტი ნაცვლად ,,ნაწილობრივ შესაბამისობშია მოთხოვნებთან,, განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

**რეკომენდაციები :**

*1.* გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ის მოკლედ და კონკრეტულად.

2. რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისას აქცენტი გაკეთდეს პროგრამის შინაარსთან დაკავშირებულ სპეციფიურ კომპეტენციებზე და საჭიროებებზე.

3. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იყოს ის სასწავლო კურსი / კომპონენტი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა ფარგლებშიც მიიღწევა და ფასდება ეს თუ ის კომპეტენცია. აღნიშნულის გათვალისიწინებით შეირჩეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლგია და შეფასების პერიოდულობა.

4. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი და ის შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკის კვლევის პრინციპებთან. დეტალურად გაიწეროს პრაქტიკის კვლევის ეტაპების შესაბამისი კალენდარი და პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის სკოლების, უფლება-მოვალეობები.

5. პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები და აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში.

6. პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.

7. გადაიხედოს არსებული კომპეტენციების რუკა და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს პროგრამის შედეგების მიღწევადობის გაზომვა.

8. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.

9. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის რელევანტური დონის განსაზღვრა და ენის ფლობის დონის განმსაზღრელი მექანიზმის შემუშავება.

10. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების და შედეგების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში გაძლირდეს ინგლისური ენის სავალდებულო და არჩევითი მოდული.

11. ცალკეული კურსის/კურსების ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს საკონტაქტო საათებისა და კრედიტების რაოდენობა.

12. მოხდეს სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა ყოველი შესასწავლი კურსის მიზნებთან, შინაარსთან და მისაღწევ შედეგებთან.

13. *სასწავლოგეგმაშიპროგრამისსათაურიდან, მიზნებიდანდაშედეგებიდანგამომდინარეგაიმიჯნოსქართულისროგორცმეორეენისმოდულიდაცალკეგაიწეროსიმსავალდებულოსასწავლოკურსები, რაცამმოდულისსწავლისშედეგებისმიღწევასხელსშეუწყობს.*

*14.* მოხდეს სასწავლო კურსების ისე შერჩევა, რომ თავიდან იქნას აცილებული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების დუბლირება

15. განახლებული იქნას სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის და მოხდეს სასწავლო კურსის რიდერებში გამოყენებული წყაროების იდენტიფიცირება.

16. მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგების წარმაოდგენა 3 სფეროს მიხდვით - ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა.

17. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში კურსის სახელწოდება, მიზნები, შინაარსი და შედეგი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

18. რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწერება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.
19. მოხდეს კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების კურსის შინაარსთან, მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
20. რეკომედებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში განისაზღვროს რელევანტური შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.
21. რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული პერსონალი, რომელთა სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას, ფლობდეს სათანადო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას პრაქტიკის კვლევის მიმართულებით.
22. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დაბალანსდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა.
23. პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩეს დარგის და მიმართულების შესააბამისი განათლების და კვაალიფიკაციის მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციები.
24. მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის/პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალიზებული დაგეგმვა მოცემული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი მუხლის გათვალისწინებით

25. რეკომენდებულია მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასითებელთან და სფეროს აღმწერთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაიხვეწოს და ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები.
26. აუცილებელია პროგრამის დადარება სხვა უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

**რჩევები:**
1. სასურველია მომავალში განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
2. განხორციელდეს პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება, რაც ასახავს თავად პროცესს და პროგრამის მუშაობაში ჩართული მხარეების მონაწილებასა და მათ კონტრიბუციას.
3. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტებმა დაიწყოს პრაქტიკის კვლევის კურსის ფარგლებში (მე-9 სემესტრი). სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კი (მე-10 სემესტრი) გააგრძელონ და დაასრულონ მუშაობა. ამით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ ერთი წელი იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომზე, რაც სკოლებში ცვლილებების დანერგვისთვის და მათი შეფასებისთვის უფრო რელევანტური პერიოდია.
4. სასურველია გაძლიერდეს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები.
5. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის წერისა და გაფორმების წესების შესახებ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ.
6. სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სასურველია, თითოეული კურსისთვის განისაზღვროს საკონსულტაციო საათების დრო და კონსულტაციები განხორციელდეს დადგენილი განრიგის მიხედვით.
7. პრაქტიკაში განხორციელდეს პერსონალის შეფასება და წახალისება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი წესის მიხედვით.
8. გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები. რაც, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

9. დაინერგოს პროგრამის განმახორცელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.
10. მიზანშწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციების, ისე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-$3^2$ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-$3^2$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | N°1123190 სხდომის ოქმის N°-04 ნაწილი, 25.11.2020 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |

| | | |
|---|---|---|
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0911 დენტალური მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თამარ მეფის ქ. No59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსიN°1 1, ახალგაზრდობის პროსპექტი N 98, 4600, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანამანთლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია და განუსაზღვრა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად 6 თვე (2021 წლის 25 მაისი). აკრედიტაციის საბჭომ ზეპირი მოსმენისას გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები. კერძოდ, სამივე რეკომენდაცია დაფიქსირდა მე-2 სტანდარტში, აქედან, ორი რეკომენდაცია - 2.2 ქვესტანდარტში, ხოლო ერთი- 2.6 ქვესტანდარტში. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის შემუშავებაში ჩართულ პირებთან შეხვედრების შემდეგ მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის განსაზღვრა საჭირო სამუშაოები და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:**

1. **1.** შეიქმნას სასწავლო კურსი „ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“
2. **2.** სასურველია კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს „ორთოდონტიაში“.
3. **3.** სასწავლო კურსებში: თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია 1,2,3,4,5,6,7. ორთოპედიული სტომატოლოგია 1,2,3. პირის ღრუს ქირურგია 1,2,3. ყბა-სახის ქირურგია1,2,3. შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე წერით კომპონენტს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტის შეფასებაც

დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია. უშუალოდ სასწავლო კურსების შინაარსში გაიმიჯნა ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგიის საკითხები მოზრდილთა ქირურგიული სტომატოლოგიის საკითხებისგან. მითითებულია შესაბამისი ლიტერატურა.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ორთოდონტიაში სასწავლო კურსი გახდა 10 კრედიტიანი, IX სემესტრში სასწავლო კურსი „ორტოდონტია-1“ გახდა 6 კრედიტიანი, ხოლო X სემესტრში - „ორტოდონტია-2“ გახდა 4 კრედიტიანი, შესაბამისად გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა. სასწავლო კურსების შინაარსი უფრო ღრმად განიხილავს კონკრეტულ საკითხებს.
დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მესამე რეკომენდაცია. მითითებულ სასწავლო კურსებში შუალედურ და დასკვნით გამოცდას დაემატა პრაქტიკული კომპონენეტის შეფასებაც, კერძოდ გამოცდა გახდა კომბინირებული, ფასდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტი.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდა პერსონალის გადამზადება OSCE-თან დაკავშრებით და გარდა ამისა მოხდება აღნიშნული სახის გამოცდის ჩართვა სხვადსხვა სასწავლო კურსებში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:10**
**დასრულების დრო: 16:12**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2020 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება # 679097 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | გარემოს მცოდნეობის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0521გარემოს მცოდნეობა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო,თბილისი, 0192,გურამიშვილის გამზ. #17,კორპ#11. |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

√ კი

თვითაცილება განაცხადეს- ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ „მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების“ საბაკალავრო საგანმათლებლო პროგრამისათვის განისაზღვრა ცხრა რეკომენდაცია. ყველა რეკომენდაცია ეხებოდა მე-2 სტანდრატის 2.3 ქვესტანდარტს „სასწავლო კურსი“, რეკომენდაციები ეხებოდა როგორც ძირითადი სპეციალობის კურსებს ისე თავისუფალ კომპონენტებს. პროგრამის განმახორციელებელმა ინსტიტუციამ დადგენილ ვადებში (8 თვე) წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ. რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა ძირითადი სპეციალობის საგნებს, ხოლო ნაწილი თავისუფალი კომპონენტის არჩევით საგნებს,რომელთა მოდიფიცირების საჭიროება წარმოიშვა საბჭოზე განხილვის დროს. წაარმოდგენილი ანგარიშის, საბაკალავრო პროგრამის, სწავლის შედეგების და სილაბუსების მიხედვით რეკომენდაციები შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.
**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:**
1. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს სასწავლო კურსი ,,გარემოს შეფასება'' რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიშს, სკოპინგისა და სკრინინგის პროცედურებს, აღნიშნულმა საგანმა შესაძლოა ჩაანაცვლოს ან/და მოდიფიცირება გაუკეთდეს საგანს ,,გარემოს შეფასება, ეკოლოგიური ექსპერტიზა და აუდიტი''
2. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს სასწავლო კურსი ბუნებრივი საფრთხეები რაც განაპირობებს საგნის „სატყეო სამეურნეო საქმიანობა და მთიანი გარემოს უსაფრთხოება“-ის მოდიფიცირებას კერძოდ ამოღებული იქნება მთიანი გარემოს უსაფრთხოების კომპონენტი და გამოეყოფა ცალკე საგნად;
3. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაემატოს დაემატოს სასწავლო კურსი ნარჩენების მართვა;
4. სავალდებულო საგნად ჩამოყალიბდეს მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტის კურსი;
5. დაზუსტდეს საგნების სახელწოდება „ორგანული ტყე, ორგანული მერქნის დამუშავების მართვა“ და „საერთაშორისო ორგანიზაციები, კონვენციები და კანონმდებლობა გარემოსდაცვის სფეროში“ და მოხდეს საგნის მოდიფიცირება.
6. განახლდეს „საქართველოს ისტორიისა და კულტურის“ სილაბუსი და სილაბუსში მითითებული ლიტერატურიდან და თემატიკიდან გამომდინარე ეწოდოს საქართველოს ისტორია, სილაბუსის თემატიკას დაემატოს საქართველოში მიმდინარე მოვლენები 90 - იანი წლების ბოლოდან დღემდე
7. გადაიხედოს საგნის „გეოპოლიტიკა“ სილაბუსი, განახლდეს ლიტერატურა და მეტი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ გამოწვევებს
8. გადაიხედოს ლიტერატურა „პოლიტოლოგიისა“ და „პოლიტიკის საფუძვლები“ს სილაბუსებში და გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან
9. განახლდეს ლიტერატურა საგანში „დემოკრატია და მოქალაქეობა“. გადაიხედოს სილაბუსები საგნებში „ ქვეყანათმცოდნეობა“ და „ფილოსოფიის ისტორია
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს პროგრამის შეფასებისთვის.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამ განაპირობა პროგრამის სახელწოდებაში მსგავსი კონცენტრირება საბაკალავრო დონეზე.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამთავრობო დავალება იყო, რომ მეტი ორიენტაცია ყოფილიყო მთაზე, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ურბანული ნაწილი, ევროპული რურალიზაცია და მიღებული მთის კანონი, რომლის მიხედვითაც სტრატეგიულ განვითარებაზე სპეციალური კონცეფცია არის შექმნილი 2030 წლამდე.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:25**
**დასრულების დრო: 16:30**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**4. მეოთხე საკითხი:** შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სტომატოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | N201 – 07.12.2018 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | სტომატოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული სტომატოლოგი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0911 დენტალური მედიცინა |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 300 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, ქ.თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის N201 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება აკრედიტებულ რეჟიმში. აღნიშნული ანგარიში შევსებულ იქნა დიპლომირებული სტომატოლოგის საგნმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დასადგენად. დაწესებულებაში ვიზიტი არ განხორციელებულა, მტკიცებულებების სახით ცენტრის მიერ მოწოდებულ იქნა თვითშეფასების დანართები. დამატებით ექსპერთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა შემდეგი დოკუმენტები: მატერიალური რესურსების დამადასტურებელი; სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტები.
**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. სასურველია ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანამნათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში
2. მოხდეს სტუდენტებისთვის სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებით ფაკულტეტის მიერ მეტი ხელშეწყობა, განსაკუთრებით დარგობრივი მიმართულებით.

3. რეკომენდირებულია ფაკულტეტის მიერ ორგანიზდეს და დაფინანსდეს სამეცნიერო კვლევითი აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებები, როგორც მოწვეული პერსონალისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის.
4. მოხდეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების განახლება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს განსაზღვრული რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ თითოეული მათგანი იქნება გათვალისწინებული.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა ჩანდა თუ არა პერსონალის ბიოგრაფიიდან გამომდინარე სხვადასხვა კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ 4.3 კომპონენტთან არსებული ჩანაწერი, რომელიც გულისხმობდა ხელშეკრულებების განახლებას.
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, ნაწილობრივ ჩანდა პერსონალის მონაწილოება, მაგრამ სასურველი იყო უფრო მეტი ჩართულობა.
ხელშეკრულებებთან დაკავშრებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ხელშეკრულებების შედგენილი იყო ძველი რიცხვით, შესაბამისად საჭიროებდა განახლებას. საუბარია მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორ კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებზე.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:45**
**დასრულების დრო: 17:15**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე**
საბჭოს თავმდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი, კერძოდ დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 დღის განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
საბჭმ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და რეკომენაციები ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:
1. რეკომენდებულია ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანამნათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში.
2. მოხდეს სტუდენტებისთვის სამეცნიერო/კვლევითი მიმართულებით ფაკულტეტის მიერ მეტი ხელშეწყობა, განსაკუთრებით დარგობრივი მიმართულებით.
3. რეკომენდირებულია შემუშავდეს დეტალური სამოქმედო გეგმა (ფინანსური უზრუნველყოფით) სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.
4. მოხდეს წარმოდგენილი ხელშეკრულებების განახლება ( შინაარსი და ვადები).

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზეშპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ''სტამატოლოგის ერთსაფეხურიან" საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 ივლისს 17:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ